დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ.#07/01-25, 21/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების წესი თანამშრომლებისათვის

თბილისი

2024

მუხლი 1. ძირითადი მახასიათებლები

1.1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს გაცვლით პროგრამებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ერაზმუს+-ის (ევროკავშირის უმაღლესი განათლების პროგრამა პარტნიორ უნივერსიტეტებთან) ფარგლებში;

1.2. უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს შეუძლია მობილობით ისარგებლოს უცხოურ უნივერსიტეტში, ერთი კვირიდან მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში. მობილობის ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ;

1.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც აქვს ინგლისურ ენაზე სალექციო კურსის წაკითხვის გამოცდილება და სრულ განაკვეთზე დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალს (ბრძანება/გრძელვადიანი კონტრაქტი) გამოცდილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის არქონა;

1.4. შესარჩევი კომისია: რექტორი, პროექტორი ადმინისტრაციულ დარგში, პროექტორი აკადემიური დარგში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 2. გაცვლით პროგრამაში თანამშრომლის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია

2.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა აკადემიურმა პერსონალმა შემდეგი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე: CV ევროპასის ფორმით, საერთაშორისო პასპორტის ასლი, შევსებული სააპლიკაციო ფორმა.

2.2. გაცვლით პროგრამაში ან/და ნებისმიერ საერთაშორისო აქტივობაში უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობის მსურველი თანამშრომლები არჩეული იქნებიან კონკურსის წესით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: შზსუ-ში მუშაობის სტაჟი, ზოგადი სამუშაო სტაჟი, სფეროს შესაბამისობა, ენობრივი კომპეტენცია, გაცვლით პროგრამაში მონაწოლეობის გამოცდოლება (უპორატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, ვისაც ჯერ არ უსარგებლია გაცვლითი პროგრამით). შესარჩევი კომისია შედგება საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის, ადმინისტრაციულ ნაწილში პრორექტორისგან და რექტორისგან. გაცვლით პროგრამაში თანამშრომლის მონაწილეობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

3.1.შესაბამისი გაცვლითი პროგრამების გამოცხადება უნივერსიტეტში განხორციელდება საჯაროდ:

3.1.1. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://ibsu.edu.ge/;

3.1.2. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ვებ გვერდზე https://iro.ibsu.edu.ge/;

3.1.3. უნივერსიტეტის სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით;

3.1.4. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმაციის გაგზავნით.

3.2. გამოცხადებული კონკურსის ვადის ამოწურვის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი აგროვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას,

განიხილავს მას და აფასებს აპლიკანტს ამ წესით დამტკიცებული პირობების შესაბამისად.
3.3. კონკურსის შედეგად შერჩეული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია განსახილველად წარედგინება მიმღებ უნივერსიტეტს.

3.4. პარტნიორი უნვერსიტეტი ახორციელებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომლის საბოლოო მიღებას, საჭიროებისამებრ მიმღები უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს კანდიდატის დამატებითი შეფასება.

3.5. გამარჯვებულ კანდიდატს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ, ელექტრონულად ეგზავნება შეტყობინება კონკურსის შედეგების თაობაზე.